



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

დაბა ქედა



განკარგულება:გ-95.95253606

თარიღი:26/12/2025

ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით თხოვების უფლებით „სსიპ სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტო“-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 05 დეკემბრის N2041 განკარგულების, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.გ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მიეცეს თანხმობა ქედის მუნიციპალიტეტის მერს (მამუკა თურმანიძე) ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა ქედა 26 მაისის ქ. №2-ში მდებარე შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე არსებული 78,20 კვ.მ. ფართობის (ს/კ 21.03.35.008.01.507 არსებული ფართი 61,10 კვ.მეტრი და ს/კ 21.03.35.008.01.503 არსებული ფართი 17,10 კვ.მეტრი) და ყოფილი მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო გაწვევისა და აღრიცხვის სამსახურის ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონება (გადასაცემი შენობის ფართის შიდა ნახაზი და ქედის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული მცირეფასიანი ინვენტარი და სხვა მატერიალური ფასეულობები რომლებიც უნდა გადაეცეს თხოვების ფორმით „სსიპ სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტო“-ს განკარგულებას თან ერთვის) „სსიპ სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტო“-ზე პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, 2027 წლის 01 იანვრამდე, თხოვების ფორმით გადაცემაზე.

2. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს (მამუკა თურმანიძე).

3.განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მ. სალაძემ.

4.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

4.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

5.განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ამირან ცინცაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

